27/07/2026

MES 5 26 0000979674

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 13/07/2026
სხდომის დაწყების დრო: 12:00 საათი
დასრულების დრო: 13:17 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე
სხდომის მდივანი: რიმა ბერიაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2026 წლის 13 ივლისს.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. სერგო ჭელიძე - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს" იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;

2. ვასილ გონაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავჯდომარის მოადგილე;
3. ივანე აბაშიძე - სსიპ- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
4. ნათია ჯოჯუა - შპს - ევროპული უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანუ, პროფესორი
5. რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი; სხდომის მდივანი;
6. თამარ გამსახურდია - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. ნინო მინდიაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სანსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
12. ბაქარ ბერეკაშვილი - შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

- **დავით კუხალაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ქრისტინე აბულაძე -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- **სოფიკო გრიგოლაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- **ოლგუნ ჩიჩექი (Olgun Cicek) -** I საკითხი;
- **შოთა ფოთოლაშვილი -** I საკითხი;
- **ია მოსაშვილი -** I საკითხი;
- **თამთა ცხოვრებაძე -** I საკითხი;
- **დავით ტეფნაძე -** I საკითხი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია

- სოფიო აბულაშვილი - რექტორი
- თეა სამჭკუაშვილი - პრორექტორი
- ალექსანდრე შამათავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა რიმა ბერიშვილი. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:
• კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ეკატერინე შაკიაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო დოკუმენტებს, არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელ(ებ)ს, იცნობდ(ნენ)ა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საერთაშორისო ექაპერტმა ოლგუნ ჩიჩექმა აღნიშნა, რომ მიუხედავად აკადემიის ახლად დაფუძნებული დაწესებულების სტატუსისა, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის ხარისხი უმეტეს შემთხვევაში დადებითად შეფასდა. კერძოდ, სტანდარტების უმრავლესობა შეფასდა როგორც „შესაბამისი“, ხოლო მეორე სტანდარტი - როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 7 რეკომენდაცია და 15 რჩევა.

ოლგუნ ჩიჩექმა მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აკადემიის საქმიანობის პირველ წელს კვლევითი მიმართულებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი შედარებით მცირე მოცულობის იყო, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისი ეტაპობრივი გაზრდა. ექსპერტთა ჯგუფის საერთო შეფასებით, ტრენინგ-ცენტრიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად აკადემიის გარდაქმნის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. დაწესებულებას გააჩნია სათანადო გამოცდილება, მოტივაცია და მხარდაჭერა როგორც მმართველი რგოლის, ისე პერსონალის დონეზე, რაც აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულების მყარ საფუძველს ქმნის.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, შოთა ფოთოლაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაციის პროცესისთვის მოსამზადებლად მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამთა ცხოვრებაძემ განმარტა, რომ პროცესი კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარმოადგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიის ინიცირების საფუძველზე, ცენტრის შემუშავდა ახალი დარგობრივი მახასიათებელი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო უსაფრთხოება ცალკე კოდით განისაზღვრა (1039.2.1 „სახელმწიფოუსაფრთხოება“ (State Security)
.

2.1 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემია შინაარსობრივად იზიარებს რეკომენდაციაში ასახულ მოსაზრებას, თუმცა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ გარემოებას სტანდარტის კომპონენტის შეფასებაზე გავლენა არ უნდა მოეხდინა და იგი რჩევის სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო, ვინაიდან სტანდარტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

დაწესებულების პოზიციით, ექსპერტთა შეფასება ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ აკადემია უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების საწყის ეტაპზე იმყოფებოდა, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა, პრაქტიკაში შეეფასებინა ორგანიზაციული სტრუქტურის, მართვის მექანიზმებისა და მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობა, მათ შორის შესრულების ინდიკატორებსა და სისტემური შეფასების შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა.

ამასთან, ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ აკადემია უზრუნველყოფს საკუთარი მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და სტრატეგიული საგანმანათლებლო საქმიანობის

განხორციელებას, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. დასკვნით ასევე დასტურდება, რომ აკადემიაში შექმნილია სათანადო ნორმატიული, ორგანიზაციული და პროცედურული საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული სტრუქტურის, მართვის მექანიზმების, ანგარიშვალდებულების ხაზების, შესრულების ინდიკატორებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და რისკების მართვის სისტემის პრაქტიკულ განხორციელებასა და შემდგომ შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ავტორიზაციის სტანდარტი ითვალისწინებს ინსტიტუციური მართვის სისტემების არსებობისა და მათი სამართლებრივი, ორგანიზაციული და პროცედურული საფუძვლების შეფასებას. აღნიშნული კომპონენტები აკადემიაში შექმნილია და ექსპერტთა დასკვნითაც დასტურდება მათი სტანდარტთან შესაბამისობა. მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასება შესრულების ინდიკატორებისა და პრაქტიკული შედეგების საფუძველზე შესაძლებელი გახდება მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების შემდეგ. შესაბამისად, დაწესებულების შეფასებით, რეკომენდაციაში მითითებული საკითხი აკადემიის შემდგომი განვითარების მიმართულებად უნდა იქნეს განხილული და არა სტანდარტის მოთხოვნასთან მეტწილად შესაბამისად.

2.2 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემია იზიარებს რეკომენდაციის მნიშვნელობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტშივე დადასტურდა, რომ აკადემიაში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ნორმატიული და ორგანიზაციული საფუძვლები. რეკომენდაცია უკავშირდება არა აღნიშნული სისტემის არარსებობას, არამედ მისი ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით სათანადო გამოცდილების მქონე ხელმძღვანელის დანიშვნის საჭიროებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიაში მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები. აკადემიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი კანდიდატის შერჩევის პროცესი გახანგრძლივდა, თუმცა პროცედურები აქტიურად მიმდინარეობს და აღნიშნული საკითხი საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე მოწესრიგდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა 2.2 კომპონენტთან დაკავშირებულ მესამე რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ აკადემიაში უკვე შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პოლიტიკა, შეფასების ინდიკატორები, მონიტორინგისა და გაუმჯობესების ინსტრუმენტები, რომლებიც ავტორიზაციის მოთხოვნებს შეესაბამება. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული შედეგიანობის შეფასება შესაძლებელი გახდება მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის დაწყების შემდეგ. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია ეხება აკადემიის შემდგომ განვითარებას და არა სტანდარტთან შესაბამისობის ნაკლოვანებას, რის გამოც იგი რჩევის სახით უნდა ჩამოყალიბდეს.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემია აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ იზიარებს, ვინაიდან ექსპერტთა დასკვნის პროექტში მითითებული საკითხები, რომლებიც რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა, დაწესებულების მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში უკვე გათვალისწინებულია.

აკადემიაში დამტკიცებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტები აწესრიგებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ, ორგანიზაციულ და პროცედურულ საკითხებს. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების პროცესში ჩართული ყველა პასუხისმგებელი სუბიექტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს

შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. დოკუმენტების დანართებით განსაზღვრულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის კურიკულუმის რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები ერთიან სისტემაში აერთიანებს პროგრამის სწავლის შედეგებს, სამიზნე ნიშნულებს, პასუხისმგებელ პირებსა და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმებს.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტი არ განსაზღვრავს შეფასების რუკის ერთიან ფორმას და არ ადგენს ყველა შესაბამისი ელემენტის ერთ დოკუმენტში სავალდებულოდ ინტეგრირების მოთხოვნას. აკადემიაში შესაბამისი ინფორმაცია სისტემურად არის განაწილებული ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტებში, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების სრულ ციკლს.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა აკადემიაში არსებული ადამიანური რესურსი და დაადასტურა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს დაგეგმილი სტუდენტური კონტინგენტის მიღებასა და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. ამასთან, დადებითად შეფასდა აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა, აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, პერსონალის განვითარების სტრატეგია და შიდა მარეგულირებელი ჩარჩო.

დაწესებულების შეფასებით, ექსპერტთა რეკომენდაცია უკავშირდება აკადემიური განვითარების შემდგომ ეტაპსა და სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაბამისად აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას. თავდაპირველად ინსტიტუცია 50 სტუდენტის მიღებას გეგმავდა, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ აღნიშნული საკითხი გადაიხედა და მოთხოვნილი კონტინგენტი 20 სტუდენტამდე შემცირდა. პარალელურად გაიზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობაც და დაწესებულებას ამჟამად ხუთი აკადემიური პერსონალი ჰყავს. შესაბამისად, აკადემია მიიჩნევს, რომ აღნიშნული რაოდენობა 20 სტუდენტისთვის საკმარისია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ოპერაციული დაგეგმვის მიზნებისთვის აუცილებელია სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა რესურსული შესაძლებლობების 85–90%-ის ფარგლებში, რაც ხარისხის შენარჩუნებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის აუცილებელ წინაპირობას ქმნის. აკადემიაში გათვალისწინებულია მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სტუდენტთა კონტინგენტის ეტაპობრივი ზრდა განხორციელდება მხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების პროპორციული ზრდის პარალელურად.

მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემია იზიარებს რეკომენდაციას და უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის სოციალურ პლატფორმებზე განთავსებას. აკადემიის ვებ-გვერდი ამოქმედებულია და სრულფასოვნად ფუნქციონირებს.

მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიაში დამტკიცებულია კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი სახელმძღვანელო, რომელიც ადგენს კვლევების დაფინანსების წესს, დაფინანსების კონკურსის ორგანიზებისა და განხორციელების პროცედურებს და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებს.

სახელმძღვანელოში განსაზღვრულია კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ფორმები, მათ შორის შიდა საგრანტო კონკურსები, მიზნობრივი კვლევითი პროექტები, ერთობლივი, საერთაშორისო და ინსტიტუციური კვლევითი გრანტები. დოკუმენტით ასევე დადგენილია კონკურსის გამოცხადების წესი, განაცხადის შინაარსი და წარდგენის პროცედურა, დამოუკიდებელი კომისიის მიერ განაცხადების შეფასების წესი და კრიტერიუმები, შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის გათვალისწინებით, აგრეთვე გასაჩივრების მექანიზმი.

კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემია ამჟამად ინსტიტუციური განვითარების ეტაპზე იმყოფება და ჯერ არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, რის გამოც კვლევითი მიმართულებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი შედარებით მცირე მოცულობისაა. ამასთან, აკადემიამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა კვლევითი საქმიანობის დაფინანსების საპროგნოზო გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამთა ცხოვრებაძემ სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გაცემული რეკომენდაცია შეეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელებისა და სწავლის შედეგების რუკებთან მისი შესაბამისობის საკითხს. შეფასების მექანიზმი ზოგადი ხასიათის დოკუმენტია, ხოლო მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია ხორციელდება შესაბამისი რუკის საფუძველზე, რომელშიც შეფასების პროცესთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი უნდა აისახოს. ვინაიდან პროგრამა ჯერ არ არის აკრედიტებული და მისი რეალურ პირობებში განხორციელება არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში შეფასების შესაძლებლობა არ ჰქონდა, რამაც შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის საჭიროება განაპირობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ოლგუნ ჩიჩექმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წინაშე დგას სპეციფიკური გამოწვევები როგორც ქვეყნის შიდა კონტექსტის, ისე საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ მიმდინარე გარდამავალი პროცესის საფუძვლიანი შესწავლა და შესაბამისი რისკების გაანალიზება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი პოლიტიკა და მექანიზმები სათანადოდ აქვს შემუშავებული და წარმოდგენილი. შესაბამისად, იგი დაეთანხმა აკადემიის პოზიციას და მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი უნდა ჩამოყალიბდეს რჩევის და არა რეკომენდაციის სახით. მისივე შეფასებით, პირველი რეკომენდაციაც თავისი შინაარსით რჩევას წარმოადგენს, ვინაიდან იგი დაწესებულებას მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებისკენ მოუწოდებს.

საბჭოს წევრმა, თამარ გამსახურდიამ 3.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად უზრუნველყოფდა აკადემიის მიერ შემუშავებული სისტემა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვალიდურობას, განსაკუთრებით პროგრამის სპეციფიკური დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტანდარტი არ განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების ერთიან ფორმატს და არ ადგენს ყველა შესაბამისი დოკუმენტის ერთ დოკუმენტში ინტეგრირების ვალდებულებას. შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სხვადასხვა მარეგულირებელი მეთოდები გათვალისწინებულია სხვადასხვა მარეგულ დოკუმენტში. მათ შორის შემუშავებულია დამსაქმებელთა კითხვარი და სხვა შესაბამისი ინსტრუმენტები. ასევე აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იმგვარად არის დაგეგმილი, რომ სტუდენტმა დასკვნითი პროექტის ფარგლებში უნდა წარმოაჩინოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები. შესაბამისად, დასკვნითი პროექტი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ერთი წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნის კომპლექსურად შეფასებას.

საბჭოს წევრმა, ნინო მინდიაშვილმა მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაცემულია ერთი რეკომენდაცია, რომელიც კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოცულობის გაზრდას ეხება. მან დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა

აკადემიას კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელიც შესაბამისი დაფინანსების ეტაპობრივ გაზრდას უზრუნველყოფდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების სახელმძღვანელო. კვლევითი საქმიანობა დაწესებულებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რაც აკადემიის მისიაშიც არის ასახული. აღნიშნული მიმართულების ხელშეწყობის მიზნით აკადემიამ გამოყო შესაბამისი ფინანსური რესურსები და მათი განაწილების წესები სახელმძღვანელოში განსაზღვრა.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომლებიც გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით პერიოდულად გადაიხედება. ამასთან, აკადემიას გააჩნია კვლევითი საქმიანობის სტრატეგია, რომელშიც აკადემიური პერსონალის მონაწილეობით განსაზღვრულია დაწესებულების კვლევითი პრიორიტეტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყებამდე კვლევითი საქმიანობის საჭიროებებისა და დაფინანსების ზუსტი მოცულობის განსაზღვრა შეზღუდულია, თუმცა აკადემია მზად არის, შესაბამისი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, გაზარდოს ამ მიმართულებით გამოყოფილი ფინანსური რესურსი.

საბჭოს წევრმა ივანე აბაშიძემ აღნიშნა, რომ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია თავისი შინაარსით რჩევას უფრო შეესაბამება და ისაუბრა აღნიშნულ რეკომენდაციაზე, ვინაიდან რეკომენდაცია, როგორც წესი, სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, სტუდენტთა რა რაოდენობას ითხოვდა აკადემია. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად 400 სტუდენტი იყო მითითებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტთა მაქსიმალურ ზღვრულ რაოდენობად თავდაპირველად 400 სტუდენტი განსაზღრეს. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულება პირველ წელს 50 სტუდენტის მიღებას გეგმავდა, თუმცა შემდგომ აღნიშნული მაჩვენებელი გადაიხედა და მოთხოვნილი რაოდენობა 20 სტუდენტამდე შემცირდა. ამასთან, აკადემიის გრძელვადიანი განვითარების გათვალისწინებით, მაქსიმალურ ზღვრულ რაოდენობად, ამ ეტაპზე, 200 სტუდენტის განსაზღვრა იქნა მოთხოვნილი.
საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს ასევე მიმართა კითხვით, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში რომელი ანალოგიური პროგრამები იქნა შესწავლილი და გაანალიზებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიამ შეიმუშავა შესაბამისი ბენჩმარკინგის დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრა ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შესადარებლად შეირჩა კონკრეტული ინსტიტუციები და საგანმანათლებლო პროგრამები. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ისრაელის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი ერთწლიანი პროგრამები.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამების პირდაპირი და სრული იდენტურობით შედარება შეუძლებელი იყო, ვინაიდან აღნიშნულ მიმართულებას თითოეულ ქვეყანაში განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია. შესაბამისად, ბენჩმარკინგის დოკუმენტში დეტალურად აისახა შესწავლილი პროგრამების საერთო მახასიათებლები და მათი შედარებითი ანალიზის შედეგები.
სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ერთი არჩევითი სასწავლო კურსის შესაძლებლობას ითვალისწინებდა და დაინტერესდა, იქნებოდა თუ არა მიზანშეწონილი არჩევითი კომპონენტის გაზრდა. მან ასევე დასვა კითხვა, რა პრინციპით განხორციელდა სასწავლო კურსების სავალდებულო და არჩევით კომპონენტებად კლასიფიცირება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ერთწლიანია და მისი მოცულობა 60 კრედიტს შეადგენს, რის გამოც პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტი

კეთდება ანალიტიკური წერის უნარის განვითარებაზე. სახელმწიფო უსაფრთხოების მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი სასწავლო კურსები სავალდებულო კომპონენტშია გაერთიანებული. პროგრამაში გათვალისწინებულია ერთი არჩევითი სასწავლო კურსის არჩევა. ამასთან, სტუდენტს, სურვილისა და შესაბამისი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, დამატებითი სასწავლო კურსების გავლის შესაძლებლობა არ ეზღუდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:56
დასრულების დრო: 13:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიისათვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას (ს/კ: 205421943) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დანიშნოს გამოცდილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, სისტემური შეფასებისა და უწყვეტი განვითარების პროცესების მხარდაჭერის მიზნით;
3. რეკომენდებულია, სტუდენტების მოთხოვნილი მაქსიმალური რაოდენობის (200 სტუდენტი) ეტაპობრივად ან ერთიანად მიღების პარალელურად, უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის პროპორციული ზრდა;
4. რეკომენდებულია, აკადემიამ მარეგულირებელი დოკუმენტები განათავსოს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს აკადემიის ვებ-გვერდზე;
5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს კვლევის დაფინანსების მოცულობა, და მეტად დახვეწოს მარეგულირებელი ჩარჩო, მათ შორის „კვლევის დაფინანსებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სახელმძღვანელო პრინციპები'', რათა ნათლად განისაზღვროს ინსტიტუციური დაფინანსების მოპოვებისთვის საჭირო კონკრეტული წინაპირობები, გამჭვირვალე კრიტერიუმები და გრანტის ადმინისტრირების მექანიზმები.

საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა უნივერსიტეტის შუამდგომლობა აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში 2026 წლის 13 ივლისს შესვლის თაობაზე.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:17 სთ - ზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
ბერიაშვილი რიმა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო